საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ციფრული კომუნიკაცია

DIGITAL COMMUNICATION BETWEEN THE STATE AND CITIZENS IN GEORGIA'S AGRICULTURAL SECTOR

მაკა გოგილაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Maka Gogilashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Email:makogogilashvili@gmail.com
ORCID: 0009-0006-6684-9818

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ციფრული კომუნიკაციის ტრანსფორმაციას. ნაშრომის მიზანია შეფასდეს, თუ რა როლს ასრულებს ციფრული ტექნოლოგიები სახელმწიფოსა და ფერმერებს შორის კომუნიკაციის პროცესში, რამდენად ეფექტიანად იყენებენ სახელმწიფო ინსტიტუტები ციფრულ პლატფორმებს ინფორმაციის გავრცელებისა და საჯარო სერვისების მიწოდებისთვის და რა გამოწვევები არსებობს ამ მიმართულებით.

კვლევის თეორიული ნაწილი ეფუძნება ელექტრონული მმართველობის (e-Government), ახალი საჯარო მმართველობის (New Public Governance), ქსელური საზოგადოების (Network Society) და ციფრული უთანასწორობის (Digital Divide) კონცეფციებს. ნაშრომში განხილულია ციფრული კომუნიკაციის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სექტორში, საერთაშორისო გამოცდილება.

ემპირიულ ნაწილში გამოყენებულია კონტენტ-ანალიზის მეთოდი. გაანალიზებულია 2026 წლის იანვრიდან ივნისის პერიოდში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის განვითარების სააგენტოსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ციფრულ პლატფორმებზე გამოქვეყნებული მასალები. ანალიზის ფარგლებში შეფასებულია კომუნიკაციის ფორმები, ინფორმაციის შინაარსი, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, რეგიონული მიმართულებები და ციფრული სერვისების გამოყენება.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები აქტიურად იყენებენ ციფრულ პლატფორმებს სოფლის მეურნეობის სფეროში ინფორმაციის გასავრცელებლად და სახელმწიფო პროგრამების პოპულარიზაციისთვის. თუმცა, კომუნიკაცია ძირითადად ერთმხრივი ხასიათისაა და შედარებით ნაკლებად არის განვითარებული მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის, ონლაინ კონსულტაციებისა და

უკუკავშირის მექანიზმები. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ რეგიონული ციფრული უთანასწორობა და ციფრული წიგნიერების განსხვავებული დონე კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ციფრული კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია ინტერაქტიული ციფრული სერვისების განვითარება, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გაძლიერება, რეგიონებში ინტერნეტინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ფერმერთა ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს უფრო გამჭვირვალე, ეფექტიანი და მოქალაქეზე ორიენტირებული საჯარო მმართველობის ჩამოყალიბებას

საკვანძო სიტყვები: ციფრული კომუნიკაცია, ელექტრონული მმართველობა, სოფლის მეურნეობა, სახელმწიფო-მოქალაქის ურთიერთობა, ციფრული ტექნოლოგიები, ფერმერები.

Abstract

The paper examines the transformation of digital communication between the state and citizens in Georgia's agricultural sector. The purpose of the study is to evaluate the role of digital technologies in the communication process between the state and farmers, assess how effectively state institutions utilize digital platforms for disseminating information and delivering public services, and identify existing challenges in this regard.

The theoretical part of the research is based on the concepts of e-Government, New Public Governance, Network Society, and Digital Divide. The paper discusses the importance of digital communication in the agricultural sector, alongside international experience.

The empirical part employs the content analysis method. It analyzes materials published between January and June 2026 on the official digital platforms of the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, the Rural Development Agency, and the National Food Agency. The analysis evaluates communication forms, information content, citizen engagement mechanisms, regional dimensions, and the use of digital services.

The research results show that state institutions actively use digital platforms to disseminate information in the agricultural sector and promote state programs. However, communication is predominantly one-way, while mechanisms for active citizen participation, online consultations, and feedback are relatively underdeveloped. The study also revealed that regional digital divide and varying levels of digital literacy remain significant challenges.

The paper emphasizes that to increase the efficiency of digital communication in Georgia's agricultural sector, it is essential to develop interactive digital services, strengthen citizen participation mechanisms, improve internet infrastructure in regions, and foster the development of farmers' digital skills. These measures will contribute to the establishment of a more transparent, efficient, and citizen-oriented public administration.

Keywords: Digital communication, e-Government, agriculture, state-citizen relations, digital technologies, farmers.

შესავალი

თანამედროვე სახელმწიფოების განვითარების პროცესში აგრარული პოლიტიკა განიხილება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ხელშეწყობის მექანიზმად, არამედ სოციალური სტაბილურობის, რეგიონული თანასწორობისა და სახელმწიფოს განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. აგრარული პოლიტიკის მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა, რესურსების რაციონალური გამოყენება, სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერება და ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რომელიც ფერმერს მხოლოდ სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულ სუბიექტად კი არ ტოვებს, არამედ ეკონომიკურ აქტორად აყალიბებს.

საქართველოს შემთხვევაში აგრარული სექტორი ისტორიულად წარმოადგენდა ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილსა და მოსახლეობის დიდი ნაწილის საარსებო წყაროს. თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის, საბაზრო რეფორმების, მიწის ფრაგმენტული პრივატიზაციისა და ინსტიტუციური არასტაბილურობის გავლენის ქვეშ. კოლექტიური მეურნეობების დაშლამ და მიწის სწრაფმა, მაგრამ არაკოორდინირებულმა განაწილებამ შექმნა მცირე ზომის, ფრაგმენტული და დაბალპროდუქტიული მეურნეობების დომინაცია. ამ პროცესს თან დაერთო წარმოების შემცირება, აგრარული ინფრასტრუქტურის დასუსტება, მომარაგების ჯაჭვების მოშლა, საწყობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების კოლაფსი, რამაც სოფლის მეურნეობის სისტემური განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა (სტრატეგია) .

2004-2012 წლებში სახელმწიფომ დაიწყო ინსტიტუციური რეფორმების, საკუთრების დაცვის, მიწის რეგისტრაციისა და ინფრასტრუქტურული პროექტების გაძლიერება. გაიზარდა ტექნიკის იმპორტი და ზოგადი მექანიზაციის დონეც, თუმცა აღნიშნული რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა მცირე ფერმერებისთვის. 2013 წლიდან დღემდე აგრარული პოლიტიკა უფრო მეტად დაუკავშირდა სახელმწიფო თანადაფინანსების პროგრამებს, მათ შორის „ფერმერთა თანადაფინანსების პროგრამას“, „დანერგე მომავალს“, „აწარმოე საქართველოში“ და „იაფი აგროკრედიტის“ პროგრამას. მიუხედავად ამისა, აგრარული სექტორის ფუნდამენტური პრობლემები კვლავ შენარჩუნებულია: მიწის მცირე და ფრაგმენტული ნაკვეთები, სარწყავი სისტემების მოძველებული ინფრასტრუქტურა, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის ნაკლებობა, რეგიონებს შორის არათანაბარი ჩართულობა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის არასაკმარისი კოორდინაცია (სვანიშვილი, 2021).

სოფლის მეურნეობაში, ეფექტურობა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ან პროგრამის ხარისხის შესაბამისობას მიზნობრივ შედეგებთან. მაგალითად მოსავლიანობის გაზრდა ან შემოსავლების ზრდა და სხვ (Criteria, 2010). ეფექტურობის ძირითად მაჩვენებლებს წარმოადგენს: შედეგზე ორიენტირებულობა-რაც გულისხმობს

პროგრამის შესაბამისობას მიზნებთან; დასახულ მიზნებთან თანხვედრა - პროგრამა პასუხობს თუ არა არსებულ გამოწვევებს; გრძელვადიანი ზემოქმედება - შედეგები მდგრადია თუ დროებითი (Ng'ang'a, 2019). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი შეფასება საჭიროებს როგორც რაოდენობრივი (მოსავალი, შემოსავალი, ექსპორტი), ისე თვისებრივი (ბენეფიციართა კმაყოფილება, რეგიონული განვითარების ეფექტი) მონაცემების შეგროვებას.

სწორედ აქ იკვეთება ცენტრალური პრობლემა: საქართველოში აგრარული პოლიტიკა, მიუხედავად ფინანსური და პროგრამული მხარდაჭერის არსებობისა, ვერ ახერხებს ფერმერული მეურნეობების გარდაქმნას პროდუქტიულ, კონკურენტუნარიან და განვითარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ერთეულებად.

აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოსა და ფერმერებს შორის კომუნიკაციაზე. ტრადიციული მექანიზმების გარდა, თანამედროვე ციფრული პლატფორმები -სოციალური ქსელები, ონლაინ ფორუმები, პეტიციები და სხვა ციფრული სივრცეები- მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, სწრაფად გამოხატონ პრობლემები, შეაფასონ სახელმწიფო პროგრამები და გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ დღის წესრიგზე.

საქართველოში ფერმერები სულ უფრო ხშირად იყენებენ ციფრულ მედიას ისეთი საკითხების გასახმოვანებლად, როგორიცაა სოფლის მეურნეობის პროგრამების ხელმისაწვდომობა, სუბსიდიები, ფასები, მოსავლის პრობლემები, სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტიანობა და სხვა გამოწვევები. თუმცა, მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად გარდაიქმნება ეს ონლაინ უკუკავშირი რეალურ პოლიტიკურ ცვლილებებად.

მიზანი

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ციფრული მედიის როლი საქართველოში აგრარული პოლიტიკის მონიტორინგის, შეფასებისა და უკუკავშირის პროცესში და განსაზღვროს, რამდენად იყენებს სახელმწიფო ციფრულ სივრცეში გამოხატულ მოქალაქეთა უკმაყოფილებასა და მოთხოვნებს პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის კომუნიკაციის ფორმები. სოციალური ქსელები და სხვა ონლაინ პლატფორმები აღარ წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას; ისინი თანდათან იქცა საჯარო პოლიტიკის შეფასების, მოქალაქეთა მონაწილეობისა და უკუკავშირის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ამ მიმართულებით ერთ-ერთ ფუნდამენტურ ავტორად მიიჩნევა მანუელ კასტელსი, რომლის „ქსელური საზოგადოების" თეორიის მიხედვით, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოებაში ძალაუფლებისა და კომუნიკაციის სტრუქტურები მნიშვნელოვნად შეცვალა. კასტელსი აღნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს ეფექტიანობა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ციფრულ ქსელებში მოქალაქეებთან მუდმივ და გამჭვირვალე კომუნიკაციაზე. სახელმწიფო აღარ წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის გამავრცელებელს, არამედ მოქალაქეებთან უწყვეტი ურთიერთქმედების მონაწილეა (Castells, 2009). მსგავს პოზიციას იზიარებს იან ვან დეიკი, რომელიც ამტკიცებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები ქმნის ახალ სოციალურ სივრცეს, სადაც მოქალაქეებსა და

სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობა უფრო სწრაფი, მოქნილი და ნაკლებად ბიუროკრატიული ხდება. თუმცა, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ციფრულ უთანასწორობაზე რაც გულისხმობს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის არათანაბარ წვდომას ინტერნეტსა და ციფრულ სერვისებზე. მისი აზრით, თუ სახელმწიფო ამ პრობლემას სათანადოდ არ უპასუხებს, ციფრული ტრანსფორმაცია შესაძლოა არსებული სოციალური უთანასწორობის გაღრმავების მიზეზიც გახდეს (Dijk, 2020). ელექტრონული მმართველობის განვითარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რიჩარდ ჰიქსი. მისი კვლევების მიხედვით, ციფრული სახელმწიფო ხელს უწყობს საჯარო სერვისების ეფექტიანობის ზრდას, ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს, აძლიერებს გამჭვირვალობას და ზრდის მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. თუმცა, ჰიქსი ხაზს უსვამს, რომ ტექნოლოგიების დანერგვა თავისთავად წარმატებას არ უზრუნველყოფს. აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური გარემო, ციფრული განათლება და ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას (Heeks, 2006). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას სოფლის მეურნეობის სექტორში, რადგან სოფლის მოსახლეობა ხშირად შეზღუდულად არის ჩართული სახელმწიფო სერვისებსა და პოლიტიკურ კომუნიკაციაში. ბოლო წლებში აქტიურად ვითარდება ციფრული სოფლის მეურნეობის კონცეფცია, რომელიც მოიცავს სატელიტური მონაცემების, მობილური აპლიკაციების, დისტანციური მონიტორინგის, მეტეოროლოგიური პროგნოზების და ელექტრონული საკონსულტაციო სისტემების გამოყენებას. საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებით FAO, OECD-ისა და მსოფლიო ბანკის კვლევები აჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები ფერმერებს აძლევს შესაძლებლობას, დროულად მიიღონ ინფორმაცია ამინდის, დაავადებების, ბაზრის ფასებისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ამასთან, სახელმწიფოსა და ფერმერებს შორის ციფრული კომუნიკაცია ზრდის ინფორმაციის გავრცელების სისწრაფეს და ამარტივებს სხვადასხვა სუბსიდიისა თუ აგროპროექტების ადმინისტრირებას (OECD, 2024). საქართველოს კონტექსტში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, ხოლო რეგიონებს შორის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის, ციფრული წიგნიერებისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ დანერგა არაერთი ელექტრონული მომსახურება და ონლაინ პლატფორმა, მათი გამოყენების ინტენსივობა ქალაქებსა და რეგიონებში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

სწორედ ამიტომ, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად განიხილება რეგიონული ციფრული უთანასწორობა. OECD-ის, UNDP-ისა და მსოფლიო ბანკის ანგარიშების მიხედვით, დიდ ქალაქებში მცხოვრებ მოქალაქეებს გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმწიფო სერვისებით, ვიდრე მაღალმთიან ან სოფლის დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას. ეს განსხვავება გამოწვეულია როგორც ინტერნეტინფრასტრუქტურის არათანაბარი განვითარებით, ისე მოსახლეობის ციფრული უნარების განსხვავებული დონით. შედეგად, ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში არსებობს რისკი, რომ რეგიონული უთანასწორობა კიდევ უფრო გაღრმავდეს, თუ სახელმწიფო პარალელურად არ განახორციელებს ინკლუზიურ ციფრულ

პოლიტიკას (UNDP, 2022). საქართველოში ჩატარებული კვლევები და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები მიუთითებს, რომ ბოლო წლებში ელექტრონული მმართველობის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. საჯარო სერვისების დიდი ნაწილი უკვე ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში, იზრდება სახელმწიფო უწყებების კომუნიკაცია სოციალურ მედიაში და ვითარდება ელექტრონული მონაწილეობის მექანიზმები. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების აქტიური ჩართულობა, ციფრული წიგნიერების ამაღლება და ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური განვითარების სარგებლის თანაბარ განაწილებას (Bank, 2025) .

აგრარულ სექტორში, სადაც ფერმერები ხშირად აწყდებიან ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და ადმინისტრაციულ გამოწვევებს, ციფრული მედია ქმნის შესაძლებლობას, რომ მათი პრობლემები სწრაფად გახდეს ხილული როგორც საზოგადოებისთვის, ისე სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ფერმერები ხშირად არიან დამოკიდებული სახელმწიფო პროგრამებზე, სუბსიდიებზე და რეგულაციებზე. შესაბამისად, მათი გამოცდილება და უკუკავშირი მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად.

ციფრული კომუნიკაციის როლი სოფლის მეურნეობის სექტორში: საერთაშორისო გამოცდილება

სოფლის მეურნეობის სექტორში ციფრული კომუნიკაცია თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად ჩამოყალიბდა. ტრადიციულად, ფერმერებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის კომუნიკაცია ხორციელდებოდა ადგილობრივი საინფორმაციო შეხვედრების, აგენტების ვიზიტებისა და ბეჭდური მასალების საშუალებით. თუმცა, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ეს მოდელი და შექმნა შესაძლებლობა, რომ ინფორმაცია ფერმერებამდე სწრაფად, დაბალ ფასად და უფრო ფართო მასშტაბით მივიდეს. ციფრული კომუნიკაცია სოფლის მეურნეობაში გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებას, არამედ ფერმერებს, სახელმწიფოს, კვლევით ინსტიტუტებსა და ბაზრის მონაწილეებს შორის მუდმივ ციფრულ ურთიერთქმედებას. მისი საშუალებით შესაძლებელია ფერმერებმა მიიღონ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების, სუბსიდიების, კლიმატური პირობების, დაავადებების გავრცელების, ბაზრის ფასებისა და თანამედროვე აგროტექნოლოგიების შესახებ.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ციფრული კომუნიკაციის ძირითადი როლი რამდენიმე მიმართულებით გამოიხატება:

1. სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა - ციფრული პლატფორმების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ადრე ფერმერს ხშირად უწევდა მუნიციპალიტეტში ან შესაბამის უწყებაში ფიზიკურად მისვლა განაცხადის შესატანად ან ინფორმაციის მისაღებად. ციფრული პლატფორმები ამ პროცესს ამარტივებს და ამცირებს

ადმინისტრაციულ ბარიერებს. მაგალითად, ესტონეთში ფერმერებს შეუძლიათ ციფრული სისტემების საშუალებით განაცხადონ სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებზე, მართონ ადმინისტრაციული პროცედურები და მიიღონ ინფორმაცია სახელმწიფო გადაწყვეტილებების შესახებ. ეს მოდელი აჩვენებს, რომ ციფრული კომუნიკაცია ამცირებს ბიუროკრატიას და ზრდის სახელმწიფოს მომსახურების ეფექტიანობას (Erwin, 2024).

განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მობილურ კომუნიკაციას. მაგალითად, კენიაში ფართოდ გამოიყენება SMS შეტყობინებები, ხმოვანი სერვისები და მობილური აპლიკაციები, რომლებიც ფერმერებს აწვდიან ინფორმაციას მოსავლის მოვლის, დაავადებებისა და ბაზრის შესახებ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, კენიის ციფრული აგრარული პლატფორმები მილიონობით მცირე ფერმერს ეხმარება ინფორმაციისა და აგრონომიული რეკომენდაციების მიღებაში. ამ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგან სოფლის მოსახლეობის ნაწილი შესაძლოა ვერ იყენებდეს რთულ ციფრულ პლატფორმებს, თუმცა უფრო მარტივად შეძლოს SMS-ის, მობილური აპლიკაციის ან სოციალური ქსელის გამოყენება. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია შეამციროს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული ინფორმაციული განსხვავება. ადრე რეგიონებში მცხოვრები ფერმერები ხშირად გვიან იღებდნენ ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების ან ბაზრის ცვლილებების შესახებ. დღეს ციფრული პლატფორმები იძლევა შესაძლებლობას, რომ ერთი და იგივე ინფორმაცია ერთდროულად მიეწოდოს როგორც ქალაქში, ისე სოფელში მცხოვრებ მოქალაქეებს. თუმცა, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ციფრული ტექნოლოგიები ავტომატურად არ ამცირებს უთანასწორობას. ამისთვის აუცილებელია:

- ხარისხიანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის ციფრული განათლება;
- მარტივად გამოყენებადი პლატფორმები;
- ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაცია.

მსოფლიო ბანკის კვლევები მიუთითებს, რომ ციფრული ფერმერული სერვისების წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიის არსებობაზე, არამედ იმაზე, რამდენად მარტივად შეუძლია ფერმერს მისი გამოყენება და რამდენად შესაბამისია მიწოდებული ინფორმაცია მის ადგილობრივ პირობებთან (Erwin, 2024) .

ნიდერლანდები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად მიიჩნევა სოფლის მეურნეობის ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. მიუხედავად ქვეყნის მცირე ტერიტორიისა და შეზღუდული ბუნებრივი რესურსებისა, ნიდერლანდებმა შექმნა მაღალპროდუქტიული და ინოვაციებზე დაფუძნებული აგრარული სისტემა, რომლის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებაა. ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ ციფრული კომუნიკაცია მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების ინსტრუმენტი არ არის ის წარმოადგენს სახელმწიფოს, ფერმერების, კვლევითი ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან მექანიზმს. ნიდერლანდებში სოფლის მეურნეობის ციფრული განვითარება ეფუძნება „ჭკვიანი სოფლის მეურნეობის“

კონცეფციას, რომელიც გულისხმობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. ფერმერები იყენებენ სენსორებს, სატელიტურ მონაცემებს, დრონებს, ხელოვნურ ინტელექტსა და სპეციალიზებულ ციფრულ პლატფორმებს, რათა უფრო ეფექტიანად მართონ სასოფლო-სამეურნეო პროცესები. ნიდერლანდების სოფლის მეურნეობის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ელექტრონულ კომუნიკაციას სახელმწიფოსა და ფერმერებს შორის. სახელმწიფო უწყებები ციფრულ პლატფორმებს იყენებენ იმისთვის, რომ ფერმერებს მიაწოდონ ინფორმაცია:

- აგრარული პოლიტიკის ცვლილებების შესახებ;
- გარემოსდაცვითი რეგულაციების შესახებ;
- სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებზე;
- ფინანსური დახმარებისა და სუბსიდიების შესაძლებლობებზე;
- სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნებზე.

ნიდერლანდების მოდელის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია მონაცემების გამოყენება სოფლის მეურნეობის მართვაში. ფერმერები აგროვებენ და აანალიზებენ ინფორმაციას:

- ნიადაგის მდგომარეობის შესახებ;
- ტენიანობის დონეზე;
- მცენარეთა ჯანმრთელობაზე;
- ამინდის პირობებზე;
- მოსავლის პროგნოზებზე.

მაგალითად, სათბურების წარმოებაში ნიდერლანდები იყენებს მაღალტექნოლოგიურ სისტემებს, რომლებიც ავტომატურად აკონტროლებს ტემპერატურას, განათებას, წყლის მიწოდებასა და მცენარის ზრდის პირობებს. ეს საშუალებას აძლევს ფერმერებს, შეამცირონ რესურსების ხარჯვა და გაზარდონ პროდუქტიულობა. ციფრული კომუნიკაციის როლი ამ პროცესში მდგომარეობს იმაში, რომ მონაცემები სწრაფად გადაეცემა ფერმერებს, აგრონომებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს, რაც გადაწყვეტილებების მიღებას უფრო ეფექტიანს ხდის. ნიდერლანდების მაგალითი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის, რადგან ციფრული ტრანსფორმაცია მხოლოდ ტექნოლოგიების შეძენას არ გულისხმობს. წარმატებული ციფრული აგრარული სისტემა ეფუძნება:

- სახელმწიფოსა და ფერმერებს შორის მუდმივ კომუნიკაციას;
- მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს;
- ფერმერთა ციფრული უნარების განვითარებას;
- კვლევითი ინსტიტუტებისა და პრაქტიკული სექტორის თანამშრომლობას;
- რეგიონებში ტექნოლოგიებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას (Economist, 2026).

საქართველოს შემთხვევაში, სადაც სოფლის მეურნეობის სექტორში მნიშვნელოვანი გამოწვევებია მცირე ფერმერული მეურნეობების რაოდენობა, რეგიონული

უთანასწორობა და ინფორმაციის ნაკლებობა, ნიდერლანდების გამოცდილება აჩვენებს, რომ ციფრული კომუნიკაცია შეიძლება გახდეს ფერმერების მხარდაჭერისა და სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი .

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ციფრული კომუნიკაცია სოფლის მეურნეობის სექტორში მრავალფუნქციურ როლს ასრულებს. ის ხელს უწყობს სახელმწიფოსა და ფერმერებს შორის ინფორმაციის სწრაფ გაცვლას, ზრდის სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობას, აუმჯობესებს ბაზარზე წვდომას და ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის ჩართულობას. მაგალითები აჩვენებს, რომ წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია ეფუძნება არა მხოლოდ ტექნოლოგიის დანერგვას, არამედ მოქალაქეზე ორიენტირებულ მიდგომას, ორმხრივ კომუნიკაციასა და ციფრული უნარების განვითარებას.

სოციალური მედიის კონტენტ-ანალიზი

ნაშრომის ფარგლებში შეირჩა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი სამი ძირითადი სახელმწიფო უწყების ციფრული პლატფორმები:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- სოფლის განვითარების სააგენტო
- სურსათის ეროვნული სააგენტო

ანალიზის პერიოდი მოიცავს 2026 წლის იანვარ–ივნისს. შეფასდა უწყებების ოფიციალურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სიახლეები და კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებლები. სამინისტროსა და სააგენტოების ვებგვერდები რეგულარულად აქვეყნებდნენ ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების, აგრარული პოლიტიკის, სურსათის უვნებლობის, რეგიონული შეხვედრებისა და ფერმერთა მხარდაჭერის შესახებ (სააგენტო, 2026).

ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად ქვეყნდება ინფორმაცია:სახელმწიფო თანადაფინანსების პროგრამების, რეგიონული შეხვედრების, სურსათის უვნებლობის, ფერმერთა წარმატების და სასოფლო-სამეურნეო დაავადების შესახებ.

სამინისტროსა და სააგენტოების სიახლეები ძირითადად შეეხება სახელმწიფო პროგრამებს, რეგიონულ შეხვედრებს, სურსათის უვნებლობის საკითხებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას. მაგალითად, ივნისში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღესა და FAO-სთან თანამშრომლობის გაძლიერებას.

ციფრული კომუნიკაცია ძირითადად ერთმხრივია, სახელმწიფო:

- აქვეყნებს ინფორმაციას;
- აცხადებს პროგრამებს;
- ავრცელებს ანგარიშებს;
- აცნობებს მოსახლეობას ცვლილებების შესახებ.

მოქალაქეების აქტიური მონაწილეობისთვის განკუთვნილი მექანიზმები (ონლაინ დისკუსიები, გამოკითხვები, ელექტრონული კონსულტაციები) იშვიათად გვხვდება.

რეგიონული მიმართულება - აღმოჩნდა კვლევის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შედეგი. სოფლის განვითარების სააგენტოს სიახლეების დიდი ნაწილი ეხებოდა რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც ფერმერებს აცნობდნენ თანადაფინანსების პროგრამებსა და სხვა (სააგენტო, 2026).

ფერმერებზე ორიენტირებულობა კონტენტის დიდი ნაწილი უშუალოდ ფერმერებისთვის არის განკუთვნილი.

ყველაზე ხშირად გვხვდება ინფორმაცია:

- თანადაფინანსების პროგრამებზე;
- გრანტებზე;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდაჭერაზე;
- მცენარეთა დაცვის ღონისძიებებზე;
- სურსათის უვნებლობაზე.

ციფრული სერვისები

ვებგვერდების ანალიზი აჩვენებს, რომ სააგენტოები მოქალაქეებს სთავაზობენ:

- პროგრამების აღწერას;
- განაცხადების შესახებ ინფორმაციას;
- FAQ-ს;
- საკონტაქტო არხებს;
- ონლაინ რესურსებზე წვდომას.

თუმცა, მოქალაქეს ყველა მომსახურების სრულად ონლაინ დასრულების შესაძლებლობა ყველა მიმართულებით არ აქვს, ამიტომ ციფრული ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია.

ძირითადი ტენდენციები

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

ძლიერი მხარეები:

- სახელმწიფო აქტიურად იყენებს ციფრულ არხებს ინფორმაციის გასავრცელებლად.
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებს.

- რეგიონებში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, რაც ზრდის ინფორმაციის გავრცელებას.
- ფერმერებისთვის პრაქტიკული ინფორმაციის მოცულობა მაღალია.

სუსტი მხარეები

- კომუნიკაცია უმეტესად ერთმხრივია.
- მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები შეზღუდულია.
- ონლაინ კონსულტაციები და ინტერაქტიული სერვისები ნაკლებად არის განვითარებული.
- რეგიონული ციფრული უთანასწორობის შემცირებაზე მიმართული სპეციალური კომუნიკაცია ნაკლებად ჩანს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს სოფლის ტერიტორიებზე ინტერნეტისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის განსხვავება. ინტერნეტზე ფორმალური წვდომის არსებობის მიუხედავად, არასტაბილურმა კავშირმა, ინტერნეტის ღირებულებამ და შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობების ნაკლებობამ შესაძლოა შეაფერხოს მოქალაქის შესაძლებლობა, სრულად გამოიყენოს სახელმწიფო ციფრული სერვისები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ციფრული უნარების საკითხიც. მოქალაქისთვის ციფრული სერვისის არსებობა ეფექტიანი მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც მას შეუძლია პლატფორმაზე რეგისტრაცია, საჭირო ინფორმაციის მოძიება, განაცხადის შევსება, დოკუმენტების ელექტრონულად ატვირთვა და განაცხადის სტატუსის კონტროლი. შესაბამისად, ციფრული უთანასწორობა მხოლოდ ტექნოლოგიებზე წვდომის განსხვავებას აღარ გულისხმობს და მოიცავს ტექნოლოგიების გამოყენების უნარებსა და შესაძლებლობებსაც.

სოფლის მოსახლეობის ციფრულ ჩართულობაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის არსებობა ვებგვერდზე ან ელექტრონულ პლატფორმაზე ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ინფორმაცია სოფლის მოსახლეობამდე ეფექტიანად აღწევს. რთული ადმინისტრაციული ენა, არასაკმარისი განმარტებები და ინფორმაციის გავრცელების შეზღუდული არხები ქმნის დამატებით ბარიერს, განსაკუთრებით იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ნაკლები ციფრული გამოცდილება აქვთ.

მნიშვნელოვანი პრობლემაა სახელმწიფო ციფრული სერვისების მომხმარებელზე ორიენტირებულობაც. რთული რეგისტრაციის პროცედურები, რამდენიმე პლატფორმის გამოყენების აუცილებლობა, ტექნიკური პრობლემები და არასაკმარისი უკუკავშირი მოქალაქეს უქმნის განცდას, რომ ციფრული კომუნიკაცია უფრო რთულია, ვიდრე უშუალო კომუნიკაცია სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთან. ასეთ პირობებში მოქალაქე შესაძლოა კვლავ დაუბრუნდეს ტრადიციულ კომუნიკაციის ფორმებს. ამასთან, ციფრულ კომუნიკაციაში ჩართულობაზე გავლენას ახდენს ნდობის ფაქტორიც. თუ მოქალაქეს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის, ონლაინ განაცხადის უსაფრთხოების ან მიღებული ინფორმაციის სანდოობის შესახებ, იგი

ნაკლებად არის მიდრეკილი ციფრული არხების გამოყენებისკენ. შესაბამისად, ეფექტიანი ციფრული მმართველობა მხოლოდ ტექნოლოგიური პლატფორმების შექმნას კი არა, მოქალაქის ნდობისა და ციფრული კომპეტენციების გაძლიერებასაც მოითხოვს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასაკობრივი, საგანმანათლებლო და ეკონომიკური განსხვავებები. ხანდაზმული მოსახლეობა, დაბალი ციფრული უნარების მქონე პირები და დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები შესაძლოა ციფრული კომუნიკაციის პროცესში შედარებით მოწყვლად ჯგუფებად ჩამოყალიბდნენ. შედეგად, ციფრული სერვისების განვითარებამ, თუ მას თან არ ახლავს შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები, შესაძლოა არსებული სოციალური უთანასწორობის შემცირების ნაცვლად გარკვეულ შემთხვევებში ახალი ციფრული უთანასწორობის ფორმა გააძლიეროს.

დასკვნა

ჩატარებული კონტენტ-ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფო ინსტიტუტები აქტიურად იყენებენ ციფრულ პლატფორმებს მოქალაქეებთან, განსაკუთრებით ფერმერებთან, კომუნიკაციისთვის. კვლევამ აჩვენა, რომ ოფიციალური ვებგვერდები და სოციალური მედიის არხები ძირითადად გამოიყენება სახელმწიფო პროგრამების, თანადაფინანსების შესაძლებლობების, სურსათის უვნებლობის, რეგიონული შეხვედრებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ეს მიუთითებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები თანდათან მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ყალიბდება სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესში.

ამასთან, კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ კომუნიკაცია უმეტესად ინფორმაციული და ერთმხრივი ხასიათისაა. სახელმწიფო უწყებები ძირითადად ავრცელებენ სიახლეებსა და ოფიციალურ განცხადებებს, ხოლო მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობისა და უკუკავშირის მექანიზმები შედარებით ნაკლებად არის განვითარებული. იშვიათად გვხვდება ონლაინ გამოკითხვები, საჯარო კონსულტაციები ან სხვა ისეთი ფორმები, რომლებიც მოქალაქეებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო აქტიურად ჩართავდა.

სოფლის მეურნეობის სექტორში ციფრული კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონებში მცხოვრები ფერმერების ინფორმირებაში. თუმცა, კვლავ აქტუალურ გამოწვევად რჩება რეგიონული ციფრული უთანასწორობა, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის, ციფრული ინფრასტრუქტურისა და მოსახლეობის ციფრული უნარების განსხვავებულ დონესთან. აღნიშნული გარემოებები აფერხებს ციფრული სერვისებით თანაბარ სარგებლობას და ამცირებს მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობას. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის ფორმები, თუმცა საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში ამ პროცესის პოტენციალი ჯერ სრულად არ არის გამოყენებული. ეფექტიანი ციფრული მმართველობისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმაციის ელექტრონულად გავრცელება, არამედ ისეთი ინტერაქტიული მექანიზმების განვითარებაც, რომლებიც

უზრუნველყოფს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას, დროულ უკუკავშირსა და სახელმწიფო ინსტიტუტებთან მუდმივ დიალოგს.

შესაბამისად, რეკომენდებულია სახელმწიფო უწყებებმა გააძლიერონ ინტერაქტიული ციფრული კომუნიკაცია, დანერგონ ონლაინ კონსულტაციებისა და ელექტრონული მონაწილეობის დამატებითი მექანიზმები, იზრუნონ რეგიონებში ციფრული წიგნიერების ამაღლებასა და ინტერნეტინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. ეს ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის უფრო ეფექტიანი, გამჭვირვალე და ინკლუზიური კომუნიკაციის ჩამოყალიბებას, რაც საბოლოოდ დადებით გავლენას მოახდენს როგორც სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაზე, ისე საჯარო მმართველობის ხარის

ციფრული მედია არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც კომუნიკაციის არხი; მას შეუძლია შეასრულოს პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვანი ფუნქცია. როდესაც ციფრული უკუკავშირი ეფექტიანად ინტეგრირდება მმართველობის პროცესში, ის შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი რესურსი ისეთი აგრარული პოლიტიკის შესაქმნელად, რომელიც უკეთ ასახავს ფერმერთა საჭიროებებსა და გამოცდილებას. ციფრული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა თავისთავად არ უზრუნველყოფს მოქალაქის სრულფასოვან მონაწილეობას სახელმწიფო ციფრულ კომუნიკაციაში. ციფრული ჩართულობა კომპლექსური პროცესია, რომელზეც გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო, სოციალური და ინსტიტუციური ფაქტორების ერთობლიობა.

ამრიგად, სოფლის მოსახლეობის ციფრულ კომუნიკაციაში ჩართულობის მთავარი პრობლემა შეიძლება განისაზღვროს არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიებზე წვდომის პრობლემა, არამედ როგორც ციფრული შესაძლებლობის პრობლემა. მოქალაქის რეალური ციფრული ჩართულობა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ერთდროულად აქვს ინტერნეტზე და ტექნოლოგიებზე წვდომა, შესაბამისი ციფრული უნარები, სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ციფრული სერვისების გამოყენების მოტივაცია და ნდობა, ხოლო თავად სახელმწიფო პლატფორმები არის მარტივი, გასაგები, ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებული.

ბიბლიოგრაფია

Arnstein, S. R. (1969). A ladder of citizen participation. Journal of the American Institute of Planners, 35(4), 216–224. https://doi.org/10.1080/01944366908977225

Castells, M. (2009). The rise of the network society (2nd ed.). Wiley-Blackwell.

Coleman, S. (2012). The internet and democratic citizenship: Theory, practice and policy. Cambridge University Press.

Hall, P. A. (1993). Policy paradigms, social learning, and the state: The case of economic policymaking in Britain. Comparative Politics, 25(3), 275–296.

Heeks, R. (2006). Implementing and managing eGovernment: An international text. SAGE Publications.

Organisation for Economic Co-operation and Development. (n.d.). OECD DAC evaluation criteria. https://www.oecd.org/en/topics/sub-issues/development-co-operation-evaluation-and-effectiveness/evaluation-criteria.html

Organisation for Economic Co-operation and Development. (2024). 2023 OECD Digital Government Index: Results and key findings (OECD Public Governance Policy Papers No. 44). OECD Publishing. https://doi.org/10.1787/1a89ed5e-en

Rhodes, R. A. W. (1997). Understanding governance: Policy networks, governance, reflexivity and accountability. Open University Press.

Van Dijk, J. (2020). The network society (4th ed.). SAGE Publications.

Vasconcelos, J. R., Dener, C., Nii-Aponsah, H., Blanco, C. V., Immonen, A. J., Nordlund, P., Siregar, F., & Song, Y. (2025). GovTech maturity index 2025: Tracking public sector digital transformation worldwide. World Bank. https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/099121725193511608

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2026). სახელმწიფო პროექტები. https://mepa.gov.ge/Ge/StateProjects

საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტო. (2026). პროგრამები. https://rda.gov.ge/programs

სვანიშვილი, ა. (2021). ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). (2022). საქართველოს საჯარო სექტორის ციფრული გარდაქმნა. UNDP.